ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №58

24 ოქტომბერი 2025 წელი

14:00 საათი

ა/წ 24 ოქტომბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. შალვა ოგბაიძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ნათია მოდებაძე;
5. მარიამ გელაშვილი;
6. ვახტანგ სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ანგარიში.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძეს, რომელმაც წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებები. მისი განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება გრანტების ნაწილში სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოცულობა 5 000,0 ათასი ლარით (საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 ოქტომბრის N1659 განკარგულება), სხვა შემოსავლების ნაწილში სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (მათ შორის წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები) – 179,4 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება სულ - 5 179,4 ათასი ლარით და შეადგენს - 2 353 788,4 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დაცვის პროგრამების მიმართულებით იზრდება: დაავადებათა სკრინინგი-(კოდი 06 01 02)- 750,0 ათასი ლარი, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება (კოდი 06 01 05) - 400.0 ათასი ლარი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი: 06 01 06) – 500,0 ათასი ლარი, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 300.0 ათასი ლარი, ტრანსპლატაცია (კოდი 06 01 13) - 600.0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი: 06 02 02) - 278.0 ათასი ლარი, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 05)- 40.0 ათასი ლარი, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 06 02 06 02) -33.0 ათასი ლარი, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03)- 88.5 ათასი ლარი, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი (06 02 09) -1000.0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08)- 532.5 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში(კოდი 06 02 16 09)- 150.0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12)- 65.0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 15) – 796.2 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 17 07) – 10.1 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07)- 189.0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) – 224.0 ათასი ლარი, სხვა

სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 318.0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10)- 108.5 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11)- 54.7 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12)- 140 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი: 06 02 18 13)- 155,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი: 06 02 18 14)- 225,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი: 06 02 18 15) – 255,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი: 06 02 18 16) – 79,8 ათასი ლარი.
ამასთან, ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა - საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 9 000,0 ათასი ლარის ოდენობით.

მცირდება:
თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21)- 195.7 ათასი ლარით.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 085 967,8 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 267 820,6 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 000 967,8 ათასი ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. აღნიშნულ საკითხს დამსწრე კომისიის წევრების სრულმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ სიტყვა გადასცა სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის წარმომდგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩივიაშვილს, რომელმაც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებით 2021-2025 წლებში დაწყებულ ახალ პროგრამებზე და პროგრამებში ცვლილებებზე ისაუბრა.

თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა 2021-2025 წლებში, ხუთი ახალი პროგრამის განხორციელება დაიწყო.
მიმდინარე წელს ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ჯანდაცვის მიმართულებით 9 და სოციალური მიმართულებით 21 პროგრამას უწევს ადმინისტრირებას.
სამსახურის პროგრამებით, ყოველწლიურად ნახევარ მილიონამდე ბენეფიციარი სარგებლობს.
2021-2025 წლებში სამსახურის მიერ დაწყებული ახალი პროგრამებია:

- „სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსება"
- „რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტის დაფინანსება"
- „მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა"
- „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისთვის მედიკამენტების დაფინანსება"
- „პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა"

ჯანდაცვის მიმართულების პროგრამები:

- „დაავადებათა სკრინინგის" პროგრამა

2021-2025 წლების ბიუჯეტი 12 551 600 ლარია (მიმდინარე წელს პროგრამის ბიუჯეტი 2 800 000 ლარს შეადგენს). საანგარიშო პერიოდში 545 630 კვლევა დაფინანსდა. პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა, პროსტატის კიბოს მართვა და კოლორექტული კიბოს გამოკვლევა უფასოდ ხორციელდება. 2024 წლიდან ძუძუს კიბოს სკრინინგში - 2 რადიოლოგის მიერ განსხვავებული შეფასებებისა და/ან სკრინინგული დიაგნოსტიკის საჭიროების შემთხვევაში, დაემატა კონსესუს კონფერენცია, რომელსაც უძღვება შემთხვევის ლიდერი მე-3 რადიოლოგი. ასევე, პროგრამას საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგს დაემატა ახალი HPV კვლევა.

- „სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების" პროგრამა

2023-2025 წლების ბიუჯეტი 5 272 540 ლარია (მიმდინარე წელს პროგრამის ბიუჯეტი 2 000 000 ლარს შეადგენს). პროგრამის განხორციელება 2023 წლის სექტემბერში დაიწყო და დღემდე, 1 046 შემთხვევა დაფინანსდა. მერია, მენჯ-ბარძაყისა და მუხლის სახსრის ხელოვნური იმპლანტით შეცვლის საჭიროების მქონე პირებს 6 000 ლარით აფინანსებს.

- „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსების" პროგრამა

პროგრამის 2021-2025 წლების ბიუჯეტი 11 958 234 ლარს შეადგენს ლარია (მიმდინარე წელს პროგრამის ბიუჯეტი 4 776 500 ლარს შეადგენს) და ამ პერიოდში, 1 759 შემთხვევა დაფინანსდა. პროგრამას, 2022 წლიდან მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება დაემატა და მოქალაქეს მედიკამენტებთან ერთად, თავის ტვინის ან/და ხერხემლის და ზურგის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია (ქიმიური აგენტის დახმარებით) უფინანსდება. ერთი ბენეფიციარისთვის, წელიწადში 25 000 ლარამდე თანხაა გათვალისწინებული. 2023 წლიდან ძვირადღირებული სამკურნალო მედიკამენტები სოციალურად დაუცველთა ბაზაში მყოფი მოქალაქეების მსგავსად, პროგრამის ყველა მოსარგებლეს სრულად, 100%-ით უფინანსდება. 2024 წლიდან მოსარგებლეებს მოეხსნათ ასაკობრივი ზღვარი

- „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების" პროგრამა

პროგრამის 2021-2025 წლების ბიუჯეტი 27 604 630 ლარს შეადგენს ლარია (მიმდინარე წელს პროგრამის ბიუჯეტი 7 260 000 ლარს შეადგენს), 2021 წლიდან, პროგრამის ფარგლებში, 3 405 შემთხვევა დაფინანსდა.
პროგრამა HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული და მეტასტაზური ფორმის ძუძუს კიბოს დიაგნოზის მქონე ქალბატონების სიცოცხლის გახანგრძლივება/განკურნებას ემსახურება. ტრანსფუზიების რაოდენობა 14-დან 18-მდე გაიზარდა. 2024 წლიდან ძვირადღირებული სამკურნალო მედიკამენტები სოციალურად დაუცველთა ბაზაში მყოფი მოქალაქეების მსგავსად, პროგრამის ყველა მოსარგებლეს სრულად, 100%-ით უფინანსდება.
ერთი პაციენტის მკურნალობის სრული კურსისთვის, მინიმუმ 24 750 და მაქსიმუმ 70 110 ლარი გამოიყოფა.

- „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის" პროგრამა

პროგრამის 2021-2025 წლების ბიუჯეტი 39 679 400 ლარია ლარია (მიმდინარე წელს პროგრამის ბიუჯეტი 11 795 000 ლარს შეადგენს). პროგრამის ფარგლებში, აბილიტაციის კურსს, უწყვეტ რეჟიმში, 2 400 ბავშვი და მოზარდი გადის (2021 წლიდან ბავშვების რაოდენობა 1375-დან 2400-მდე გაიზარდა). ერთი მოქალაქის დასაფინანსებლად წელიწადში 5 400 ლარია გათვალისწინებული.

- „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების" პროგრამა

პროგრამის 2021-2025 წლების ბიუჯეტი 3 533 027 ლარს შეადგენს ლარია (მიმდინარე წელს პროგრამის ბიუჯეტი 1 000 000 ლარს შეადგენს). საანგარიშო პერიოდში 11 100 შემთხვევა დაფინანსდა.
პროგრამა მოიცავს კრიზისულ ჩარევას ბავშვებსა და მოზარდებში და აქტიურ (ასერტულ) ფსიქიატრიულ მკურნალობას 18 წლის ასაკის ზემოთ მოქალაქეებში.
2024 წლიდან ქვეპროგრამის კომპონენტით „აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა" გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება არამატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, განისაზღვრა არაუმეტეს 300 ლარით (ნაცვლად 280 ლარისა).

- „რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტის დაფინანსების" პროგრამა

პროგრამის განხორციელება 1 სექტემბრიდან დაიწყო და ძვირადღირებული მედიკამენტის „აქტემრას" (ტოცილიზუმაბი) დაფინანსებას ითვალისწინებს. ლარია. მიმდინარე წელს პროგრამის ბიუჯეტი 300 000 ლარს შეადგენს. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი დაუფინანსდებათ სრულად, 100%-ით, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს - 80%-ით.
ამ ეტაპისთვის 57 პირზე არის გაცემული საგარანტიო წერილი.

- „ტრანსპლანტაციის“ პროგრამა

პროგრამის 2021-2025 წლის ნაერთი ბიუჯეტი 39 805 608 ლარია ლარია (მიმდინარე წელს პროგრამის ბიუჯეტი 10 500 000 ლარს შეადგენს).
2021 წლიდან დღემდე, ლეიკემიითა და სხვა ონკოჰემატოლოგიური დაავადების მიმართულებით, 968 შემთხვევა დაფინანსდა, მათ შორის, ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაცია და მასთან დაკავშირებული კვლევები. მომსახურება ფინანსდება როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. ეს არის პროგრამა, რომელიც ათობით ბავშვისა და მოზრდილის სიცოცხლის გახანგრძლივება–გადარჩენის ერთგვარი იმედია და რომელიც მათ ოჯახებს დიდ ფინანსურ ტვირთს უმსუბუქებს. საჭიროების შესაბამისად, მოქალაქეები 10 ათასიდან 235 ათას ლარამდე თანხით ფინანსდებიან.
2024 წლის 15 აგვისტოდან დაემატა ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების HLA ტიპირების კვლევა. დაფინანსდა 500 მოხალისე დონორი. კვლევის ღირებულება 5000 ლარით განისაზღვრა.
რაც შეეხება ღვიძლის ტრანსპლანტაციას, საანგარიშო პერიოდში, მომსახურება 34-მა პირმა მიიღო. 2023 წლიდან ღვიძლის გადანერგვა სრულად, 100%-ით ფინანსდება და ერთი მოქალაქისთვის 120 000 ლარი გამოიყოფა.

სოციალური მიმართულების პროგრამები:

- „მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის“ პროგრამა

პროგრამა 2022 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდა და მისი ბიუჯეტი 42 000 ლარია ლარია (მიმდინარე წელს პროგრამის ბიუჯეტი 36 000 ლარს შეადგენს). ამ პერიოდში მომსახურება 10-მა პირმა მიიღო. პროგრამა, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული ახალგაზრდებისთვის, არამატერიალიზებული სახის ვაუჩერით, საცხოვრისის მომსახურების დაფინანსებას ითვალისწინებს.

- „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარების” პროგრამა

პროგრამის 2021-2025 წლების ბიუჯეტი 799 000 ლარია ლარია (მიმდინარე წელს პროგრამის ბიუჯეტი 780 000 ლარს შეადგენს). პროგრამის ფარგლებში, ერთჯერად ფულად დახმარებას თბილისში რეგისტრირებული ის ხანდაზმულები იღებენ, რომელთაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში 100 და მეტი წელი შეუსრულდებათ. თანხის ოდენობა 1 000 ლარს შეადგენდა, ხოლო 2025 წლიდან, ის 10-ჯერ გაიზარდა და ხანდაზმულებს საბანკო ანგარიშზე 10 000 ლარი ერიცხებათ.
2021 წლიდან დღემდე, ფინანსური დახმარება 237-ჯერ გაიცა.

- „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისთვის მედიკამენტების დაფინანსების“ პროგრამა

პროგრამა 2022 წლიდან ხორციელდება და 2022-2025 წლების ბიუჯეტი 35 898 190 ლარს შეადგენს ლარია (მიმდინარე წელს პროგრამის ბიუჯეტი 10 000 000 ლარს შეადგენს).
სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის მოსახლეობის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით, ერთ ბენეფიციარზე, ყოველწლიურად, 500 ლარია გათვალისწინებული და შესაბამისად, პენსიონერები, ექიმის დანიშნულებით, მედიკამენტებს უსასყიდლოდ იღებენ.
2022 წლიდან დღემდე, 76 387 ბენეფიციარი დაფინანსდა.

- „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობის“ პროგრამა

პროგრამის, საანგარიშო პერიოდის ბიუჯეტი 9 083 802 ლარია ლარია (მიმდინარე წელს პროგრამის ბიუჯეტი 3 274 500 ლარს შეადგენს) და ყოველ თვე თავშესაფრით, საშუალოდ, 168 პირი სარგებლობს.
თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარს ერთდროულად 240 ბენეფიციარის მიღების შესაძლებლობა აქვს. თავშესაფრის მობინადრეები უზრუნველყოფილი არიან ორჯერადი სრულფასოვანი კვებით. პირადი მოხმარების ნივთებითა და ჰიგიენური საშუალებებით, 24 საათიან რეჟიმში იღებენ პირველად ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას და მედიკამენტებს. თავშესაფრის მობინადრეებს ემსახურებიან სოციალური მუშაკები, საჭიროების მიხედვით კი, უზრუნველყოფილი არიან ფსიქოლოგის მომსახურებით.

- „პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის“ პროგრამა

მერიამ, პროგრამის განხორციელება 2025 წელს დაიწყო და მისი ბიუჯეტი 1 300 000 ლარს შეადგენს. პერსონალური ასისტენტის სერვისი გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და პირადი ცხოვრების კონტროლის გაზრდას, ასევე, განათლების მიღებისას, საჯარო სერვისებით სარგებლობისას, სამუშაო ადგილზე ან ყოველდღიური საქმიანობისას სათანადო დახმარების გაწევას.
პროგრამის ფარგლებში, 256 პირი დაფინანსდა.

- „თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაცია და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა“

პროგრამის ფარგლებში, მერიის უწყებათაშორისი კომისიის მიერ, ოჯახებისთვის უსახლკაროს სტატუსის მინიჭება და შემდეგ, მერიის რესურსის შესაბამისად, რიგითობის დაცვით, სარგებლობის უფლებით სახოვრებელი ფართებით მათი უზრუნველყოფა ხდება.

2021-2025 წლებში, მერიამ 875 ოჯახს მიანიჭა უსახლკაროს სტატუსი. ამ პერიოდში, სტატუსის მქონე 65 ოჯახის სოციალურ საცხოვრისში შესახლება მოხდა, ხოლო 133 ოჯახისთვის მერიამ ინდივიდუალური ბინები შეისყიდა და მათ სარგებლობის უფლებით გადასცა, 125 ოჯახისგან კი, მიღებულია წინასწარი თანხმობა კონკრეტული ფართების სარგებლობის უფლებით ჩაბარებაზე, მათგან 5 ოჯახი უკვე შესახლდა აღნიშნულ ბინებში.

სხდომის დასასრულს, კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს კომისიის სხდომებში აქტიური მონაწილეობისა და ნაყოფიერი ჩართულობისთვის. ასევე, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურისა და ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსებს თანამშრომლობისთვის. თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა უწყებათაშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობას, მიღებული გადაწყვეტილებების დროულად და ეფექტურად განხორციელებისთვის. რამაც ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების წარმატებით განხორციელებასა და მოქალაქეთა საჭიროებებზე უფრო სწრაფ და შედეგიან რეაგირებას.

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ ჩიკვილაძე